ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01203002759**
თარიღი: **26/10/2020**
პინი: **2734**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური''), განმეორებით განიხილა თქვენი 2020 წლის 08 ოქტომბრის #60-01202822312 წერილი (AR1769791), ასევე, სამსახურში შემოტანილი 2020 წლის 21 ოქტომბრის #10/01202951925-18; 2020 წლის 16 ოქტომბრის #10/01202903943-18 განცხადებები და თანდართული დოკუმენტი (შპს ,,გრუსიას“ დირექტორის წერილობითი თანხმობა მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით), რომლითაც მოქალაქე ბესარიონ მერმანიშვილი ითხოვს **ქ. თბილისში, ნარიმანოვის ქუჩა #10 (ს.კ. #01.18.01.002.053)(სზ-5),** IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას და გაცნობებთ, რომ:

წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში, ტერიტორიაზე არსებული 12 ძირი მწვანე ნარგავი, ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული 2 ძირი კავკასიური ცაცხვი და 6 ძირი მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი, სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს **(364,2 კვ.მ).** გასამწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

ასევე, მოგახსენებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის 5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დენდროლოგიური პროექტი

ქ. თბილისი, ნარიმანოვის ქ. № 10
ს. კ. 01.18.01.002.053




თბილისი
2020


დამკვეთი:	შპს გრუსია
	ს/ნ: 238121297

არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა










სიტუაციური გეგმა მ. 1:1000



დენდრო არქიტექტურა

შპს „დენდრო არქიტექტურა“
ს/კ 400266920
ბანკის კოდი : TBCBGE22
ა/ა GE25TB7473936080100005

Dendro Architecture

DENDRO ARCHITECTURE LLC
I/D 400266920
Bank Code: TBCBGE22
B/I GE25TB7473936080100005

მწვანე ნარგაობის ხარისხობრივი შეფასება

საექსპერტო დასკვნა

დამკვეთი: შპს გრუსია ს/ნ 238121297

მისამართი: თბილისი , ქუჩა ნარიმანოვი, N 10

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.18.01.002.053

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო

ფართობი: 1214.0 კვ.მ

თარიღი: 06.05.2020

ტერიტორიაზე არსებული და შეფასებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა: 19 ინდივიდი

ვიზუალური დათვალიერების შედეგად მოხდა ინდივიდების ხარისხობრივი შეფასება

ინფორმაცია

მწვანე ნარგავების სახეობის, დიამეტრის და მდგომარეობის შესახებ

N	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	Do დიამეტრი 10 სმ-ზე	H სიმაღლე	მდგომარეობა	შენიშვნა
1	ლეღვი Ficus carica	ხე	10.0	4	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
2	ტყემალი Prunus divaricata	ხე	19.1	3	ზეხმელი	ხილ-კენკროვანი
3	თეთრი თუთა Morus alba	ხე	70.0	7	ჯანსაღი	რჩება დღემდე არსებულ სივრცეში
4	თეთრი თუთა Morus alba	ხე	70.1	7	ჯანსაღი	რჩება დღემდე არსებულ სივრცეში
5	თეთრი თუთა Morus alba	ხე	65.5	6	ჯანსაღი	რჩება დღემდე არსებულ სივრცეში
6	იაპონური სოფორა Styphnolobium japonicum	ხე	27.1	4	ჯანსაღი	ერთი ღერო ხმელი, რჩება დღემდე არსებულ სივრცეში
7	თეთრი თუთა Morus alba	ხე	29.0	6	ჯანსაღი	რჩება დღემდე არსებულ სივრცეში
8	თეთრი თუთა Morus alba	ხე	27.1	6	ჯანსაღი	რჩება დღემდე არსებულ სივრცეში
9	ცრუ აკაცია, თეთრი აკაცია Robinia pseudoacacia	ხე	7.3	3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
10	ცრუ აკაცია, თეთრი აკაცია Robinia pseudoacacia	ხე	6.4	3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
11	ცრუ აკაცია, თეთრი აკაცია Robinia pseudoacacia	ხე	7.6	3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
12	მაყვალი Rubus sp.	ბუჩქი	1.0		ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
13	ვაზი Vitis vinifera	ხვიარა	4.8		ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
14	ვაზი Vitis vinifera	ხვიარა	5.1		ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
15	ვაზი Vitis vinifera	ხვიარა	9.6		ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
16	ვაზი Vitis vinifera	ხვიარა	8.3		ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
17	თეთრი თუთა Morus alba	ხე	10.2	3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
18	თეთრი თუთა Morus alba	ხე	10.0	3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
19	თეთრი თუთა Morus alba	ხე	8.3	3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ აღწერილი 19 მერქნიანი მცენარიდან 7 ინდივიდი (# 1, 2, 12, 13, 14, 15, 16) ხილ-კენკროვანი კულტურაა. მათგან 1 ძირი #2 (ტყემალი) ზეხმელია.

6 ძირი (# 3, 4, 5, 6, 7, 8) რჩება დღემდე არსებულ სივრცეში. (მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის განთავსების შემთხვევაში, ხემცენარეები დაშორებულია 3 მეტრზე მეტი მანძილით).

6 ძირი (# 9, 10, 11, 17, 18, 19) ექვემდებარება გადარგვას. (გადარგვის პროექტი იხ. ქვემოთ).

პატარა ზომის მერქნიანი მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია

დიამეტრი 25 სმ-მდე

ნიადაგის მომზადება

ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია ტექნიკის გამოყენებით). გადასარგავი ადგილი უნდა გაიწმინდოს სარეველა მცენარეებისგან, ქვებისაგან დანაგვისაგან, ხოლო შემდეგ გაწმენდილი ადგილი მოიხნას და გადაიფარცხოს.

მერქნიანი ხე-მცენარის ამოღება და დარგვა:

გადარგვა შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც ხელით, ასევე მექანიზებული წესით. ხელით გადარგვა ხორციელდება ორი მეთოდით ნიადაგის გუნდით (კომით) და შიშველფესვიანი ნერგებით;

ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე; მცენარეების ნერგებს უნდა ქონდეთ „მიწის გუნდა“, მიწის დიამეტრით არანაკლებ ხის სიმაღლის 1/5-სა, სიღრმით - არანაკლებ 1/6-ისა.

გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას სორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 – 0,9 მ. – ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2–0,25 მ.– ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;

ორმოში სასურველია წინასწარ იქნეს შეტანილი ორგანული სასუქი (ტორფი, ან გადამწვარი ნაკელი);

ორმოში ჩარგული ნერგის ფესვები უნდა გასწორდეს და მიეყაროს პირველი ბარისპირით ამოღებული მიწა. ფესვებზე მიყრილი მიწა თანდათანობით უნდა მიეტკეპნოს, შემდეგ ორმო უნდა ამოივსოს მეორე ბარის პირით ამოღებულიმიწით;

ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;

ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან საყრდენზე (ჭიგო, სარი, დასხვ);

ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;

მერქნიანიხე-მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა:

მოვლის ღონისძიებები დარგვიდან პირველი 3 წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს. პირველ წელს სისტემატიურად უნდა ხდებოდეს ხეების ირგვლივ ჯამების გამარგვლა - გაფხვიერება და მორწყვა;

მოსალოდნელი მავნებლების და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა;

ხის მოვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ხის ვარჯის ფორმირება. ხის დეკორატიულობა დამოკიდებულია საღ და კარგად ფორმირებულ ვარჯზე;

ხის ფორმირება ახალგაზრდობისას საჭიროა ინტესიურად, სიბერეში კი - ხეს აჭრიან ხმელ ტოტებს. გამწვანებაში, ნარგავების მოვლა მიმდინარეობს სიცოცხლის მანძილზე;

გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე სასურველია განხორციელდეს სერთიფიცირებული მიკროელემენტების და სასუქების გამოყენება.

ექსპერტი: მარინე სირაძე




გადასარგავი და მოსაჭრელი ხე-მცენარეები მ. 1:250

მოსაჭრელი ხე-მცენარეები

საკადასტრო საზღვარი

მოსაჭრელი მცენარეები:

- ხილ-კენკროვანი:
#2, #13, #14, #15, #16



გასაშენებელი მცენარეების განლაგება გენგეგმაზე მ. 1:250

პირობითი აღნიშვნები


	ფოთლოვანი მცენარე
	წიწვოვანი მცენარე
	ბუჩქი

ნაკვეთის ფართი 1214 კვ. მეტრი

კვ კოეფიციენტი 364.2 კვ. მეტრი

დასარგავი ხე-მცენარეები					
№	სახეობა	რაოდენობა	გარშემოწერილობა სმ. (არანაკლებ)	სიმაღლე მ. (არანაკლებ)	შენიშვნა
20	კავკასიური ცაცხვი (Tilia begoniifolia)	5	20	3.5	
21	მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი (Acer Platanoides "globosum")	6	20	3.5	

საკადასტრო საზღვარი



გენგეგმაზე აღნიშნული დასარგავი (მათ შორის გადასარგავი) ხე-მცენარეების დაშორება შენობების კონტურიდან შეადგენს არანაკლებ 3 მეტრს; ხე-მცენარეების დაშორება ერთმანეთიდან ასევე არანაკლებია 3 მეტრისა.

ახლად დარგული ხე-მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა შეადგენს 3 წელს

ახლად დარგული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობას იღებს: შპს გრუსია ს/ნ 238121297

დამკვეთი: შპს გრუსია ს/ნ 238121297

პროექტი: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

მისამართი: ქ. თბილისი, ნარიმანოვის ქ. № 10 ს.კ. 01.18.01.002.053

შემსრულებელი: მარინე სირაძე, ექსპერტი

შემსრულებლის დამხმარე: ალექსანდრე იობიძე

400266920 DENDRO ARCHITECTURE

გამწვანების პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შპს გრუსია

ს/ნ: 238121297

საპროექტო ტერიტორია: ს. კ. 01.18.01.002.053

მისამართი: ქ. თბილისი, ნარიმანოვის ქ. №10

გამწვანების კოეფიციენტი (კ3)- 364.2 მ2

ნებართვის გამცემი ორგანო:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
გარემოს დაცვის სამსახური

დენდროლოგიური პროექტის
შეთანხმების თარიღი:


დენდროლოგიური პროექტის დასრულების
თარიღი: 2023 წელი.

გაშენებულ ხე-მცენარეების
მოვლა-პატრონობაზე
პასუხისმგებელი პირი:

შპს გრუსია ს/ნ 238121297

გაშენებულ ხე-მცენარეების მოვლის
ხანგრძლივობა: 3 წელი

გამწვანების გეგმა მ. 1:250



დასარგავი ხე-მცენარეები					
№	სახეობა	რაოდენობა	გარშემოწერილობა სმ. (არანაკლებ)	სიმაღლე მ. (არანაკლებ)	შენიშვნა
20	კავკასიური ცაცხვი (Tilia begoniifolia)	5	20	3.5	
21	მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი (Acer Platanoides "globosum")	6	20	3.5	





ფოტომონტაჟი





შპს გრუსია GRUSIA LTD

თბილისი 0194, ბახტრიონის 35; 35 Bakhtrioni str. 0194 Tbilisi

მობ/Mob: +995 599 533 116; ტელ/Tel: +995 322 367 222, +995 322 360 465

ელ-ფოსტა/Email: grusia99@yahoo.com, ვებ/web: www.grusia.ge

№116 07 ოქტომბერი 2020 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს


გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება № 5126190, გადაწყვეტილება № AR1396165MS, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის N18-01202723855 (28/09/2020) წერილით დადგენილი ხარვეზია მოთხოვნა „განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შპს ,,გრუსიას" წერილობითი თანხმობა, ან მასსა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, მწვანე ნარგავების მოვლასთან დაკავშირებით."

აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით ვაცხადებ თანხმობას, რომ შპს ,,ნადიკვარი 96-ის" საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ნარიმანოვის ქუჩა #10; ს.კ. #01.18.01.002.053) (სზ-5), IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დენდროლოგიური პროექტის მიხედვით, შპს გრუსიას პასუხისმგებლობის ქვეშ 5 წლის განმავლობაში განვახორციელებ მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობას, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

პატივისცემით,

შპს გრუსიას დირექტორი
ბესარიონ მერმანიშვილი


GEO
საქართველო
სახელი / FIRST NAME
რენატ
RENAT
გვარი / LAST NAME
რუსტამოვი
RUSTAMOV
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მ / M
პირადი No / PERSONAL No
01015011988
დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH
21.11.1983
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY
08.10.2022
ბარათის No / CARD No
12IB54360
ხელმოწერა / SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
08.10.2012
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE012IB54360601015011988<<<<
8311210M2210089GE0<<<<<<<<<<<4
RUSTAMOV<<RENAT<<<<<<<<<<<<<<<